ცნობის ფურცელი

№ 2288 პარასკევი, 10 ოქტომბერი 1896—1903 ყოველ-დღიური გამოცემა № 2288

გაზეთი ღირს: წელიწადში—6 მან., ცალკე თვეში 50 კ. ნომერი—3 კაპ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბე“-„ცნობის ფურც.“ რედაქციის კონტორაში ვანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირდაპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ღ საათამდე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію **„Цнобисъ-Пурцели“-„Моамбе“**. ტელეფონი № 372.

წარმოდგენა 7 **ქართული თეატრი** ტელეფონი № 617

კვირას, 12 ოქტომბერს, 1903 წ.

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ორი ჯიბგირი

პიესა 5 მოქმ. და 7 სურ. თარგ. ვ. აბაშიძის მიერ.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ტასო აბაშიძე, ნ. გაბუნია-ცაგარლისა, ნ. გამყრელიძისა, ნ. დავითაშვილი, მ. მდივანი, ა. რონელი, ნ. ჩხეიძე, ელ. ჩერქეზიშვილისა, ნ. ჯავახიშვილი; ბ-ნნი: ვ. აბაშიძე, დ. აწყურელი, დ. ბაქრაძე ვ. გუნია, გ. გედევანოვი, ვ. გამყრელიძე, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, ლ. მირიანაშვილი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე, კ. შათირიშვილი, შალიკაშვილი.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე.

რეჟისორი **აკაკი**

ავლაბრის ახალი თეატრი

შაბათს, 11 ოქტომბერს, 1903 წელს ავლაბრის ახალ თეატრში

დაკლებულის ფასებით

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

ჭირვეული ცოლის მორჯულება

კომ. 5 მოქმ. შექსპირისა, თარგ. კ. მესხისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი ნ. დავითაშვილი, ა. კარგარეთელისა, ნ. ყიფიანისა; ბ-ნნი: დ. აწყურელი, დ. ბაქრაძე, გ. გედევანოვი, ვ. გამყრელიძე, ნ. გვარაძე, ა. იმედაშვილი, ი. ივანიძე, კ. მესხი, ლ. მირიანაშვილი, ვ. მატარაძე, ს. სვიმონიძე.

ადგილების ფასი დაკლებულია. დასაწყისი საღამოს 8 საათზე. რეჟისორი **აკაკი.**

ტფილისის სახაზინო თეატრი. რუსული ოპერა.

ანტრეპრიზა მისის უდიდებულესობის სოლისტის ნ. ნ. ფიგნერისა.

პარასკევს, 10 ოქტომბერს, 1903 წ., წარმოდგენილი იქნება

ჰუგენოტი

ოპერა 4 მოქმედებად, მუსიკა მეიერბერისა.

მონაწილეობას იღებენ: ქ-ნნი: გალცინა, კარტავინა, კარრი, ლელინა და სხვანი; ბ-ნნი: დარსკი, ილიუშჩენკო, ევლახიშვილი, შმაკო ი, კლიუზნერი, სანგურსკი, გრინევი, გავრილოვი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. კაპელმეისტერი ე. ესპოზიტო.

ანონსი: 11 ოქტომბერს—წარმოდგენა გალა ფიგნერის მონაწილ. „ოპრიჩნიკი“, ჩაიკოვსკისა. მზადდება წარმ. „ფრანჩესკო და რიმინი“, ნაპრავნიკისა. (ნ.)

ტფილისის

კერძო სამკურნალო

მკურნალის დ. ა. გედევანიშვილისა.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ჭიჭინაძე—კბილისა, 8—10 საათამდე.

ლ. ივ. კაკოვევი.—საშარდეს, ვენერ. სიფილ. 10 ს.—11-მდე.

ნ. ტ. მულინი.—ყურისა, ყელისა და ცხვირის 9—10 საათამდე.

ი. პ. ახალშენიშვილი.—კბილისა, 10 ს. 11 ს.

ა. გ. მაღალაშვილი.—ბავშვებისა და შინაგ. 10—11 საათ.

ლ. მ. მონინი.—ქალისა, საბებიო და ბავშ. (შემოწმება ძიძებისა) ოთხშაბათ., პარასკ. და კვირაობით 11—12 საათამდე.

დ. ა. გედევანიშვილი.—შინაგანი, ნერვებისა და წამლობა ელექტრონით 12—1 ს.

ექ. ქალი მ. კ იოსელიანი.—ქალისა და საბებიო, სამშ., ხუთშ. და შაბათ. 12—1 ს.

გრ. ვ. სობოლევსკი.—ხირურგია და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშ., პარასკ. და შაბათ. 1—2 საათამდე.

ვ. მ. მანსვეტოვი.—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვების, კვირაობით 10—12.

საღამოთი:

ა. გ. მაღალაშვილი.— შინაგ., ბავშ., ყვავილის აცრა და მიკროქიმიური გამოკვლევანი 5—6ს.

სამკურნალოს აქვს ოცი საწოლი კრავატი

ფასი რჩევისა და დარიგებისა 50 კაპ.; ოპერაციები მორიგებით. კრავატები სამი მანეთიდან ხუთამდე.

ადრესი: კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (კუკიის ხიდიდან მეცხრე სახლი) სახლი აბრამოვისა, № 9, პეტელის ქუჩიდან-კი 34 Б.

(წლ.) **ტელეფონი № 274.**

კბილის ექიმი

ი. პ. ახალშენიშვილი

(ელისაბედის ქუჩა, № 38).

იღებს ავადმყოფებს დილის 9—2 საათამდე. საღამოობით 5—7-მდე, ხოლო კვირა-უქმეობით 9—1-მდე და საღამოობით 5—7-მდე.

ექიმი

ვ. ს. მუსხელიშვილი

მიიღებს თვალით ავადმყოფებს დილით 1—3 საათ., საღ. 6—7. წყნეთის ქუჩა, № 24 სახლი ვაჩნაძისა. (წლ.)

ნაფიცი ვექილი

გვაზავა

ბინა: ფრეილინის ქუჩაზე, № 15. (4—3(

საზღვარ-გარედ

—

იაპონია. ხალხს ლამის თვალები დააწყდეს იაპონიისაკენ ცქერით. ყველა მოუთმენლადა და გულის ფანცქალით მოელის იქიდან მოსულ დეპეშას, იქაურ ამბავს. ინგლისსა, ამერიკასა, ჩინეთში და ბევრგან სხვაგან ხალხს იმედი ჰქონდა, რომ „ამომავალ მზის ქვეყანა“ უსათუოდ ომს გამოუცხადებდა რუსეთს და ყველას გულის ჯავრს ამოჰყრიდა. ბევრნი დიდის სასოებით გაიყურებოდნენ შორეულ-აღმოსავლეთისაკენ და ყოველ წამს გულის ამაძგერებელ, სასიამოვნო ამბებს ელოდებოდნენ. მით უფრო სასოებით იცქირებოდნენ, რომ თითონ იაპონელებსაც ძალზე სწყუროდათ ომი და გამარჯვების იმედიცა ჰქონდათ. იაპონური გაზეთი „ნიში-ნიში“ ამას წინად დიდის რიხით სწერდა: იაპონიის ჯარის მისვლა და რუსეთის ჯარის დამარცხება ერთი იქნებაო. ჩვენი ფლოტი პირველ ბრძოლაშივე გააქრობს რუსეთის ფლოტსა, მერე მანჯურიასა და კორეიას ჯარით გავავსებთ, მანჯურებსა, ჩინელებსა და კორეიელებს ავაღელვებთ, რუსეთის რკინის გზებს დავანგრევთ და ბოლოს ჩრდილოეთის დევს მანჯურიასა და კორეიაზე სულაც ხელს დავაბანინებთო. ისე ფიცხად მოვიქცევით, რომ რუსების ჯარს თვალთ დავუბნელებთ და ცას აღარ დავანახვებთო. პირველშივე ისეთ მედგარ იერიშს მივიტანთ, რომ მთელ ქვეყნიერობას გავაოცებთ და ეშხზე მოვიყვანთო. იაპონია დაამტკიცებს, რომ ჩრდილოეთის დევს ფეხები ფაფისა აქვსო... ამნაირ წერილებს ინგლისსა, ამერიკაში და ბევრგან სხვაგან ხალხი ალტაცებით ჰკითხულობდა და სიხარულით ცას ეწეოდა. უცხოელები დარწმუნებულნი იყვნენ, რომ იაპონია გაამართლებდა კიდეც თავის მუქარასა და ქადილს, ოღონდ ომი კი ამტყდარიყო. დღე და დღე ომის გამოცხადებასაც ელოდნენ, მაგრამ ომი დღესაც არ დაწყებულა. რუსეთსა და იაპონიას ჯერ ისევ მოლაპარაკება აქვთ გამართული ქალ. ტოკიოში და ცდილობენ, თავიანთ დავა როგორმე მორიგებით, მშვიდობიანად გადასწყვიტონ და სისხლის ღვრა და ურიცხვი სამხედრო ხარჯი დაიცილონ.

შორეულ აღმოსავლეთიდან მეტად ცოტა ცნობა მოდის. მაგრამ დეპეშებიდან მაინც სჩანს, რომ იაპონია და რუსეთი დღესაც საომრად ემზადებიან. ინგლისურ გაზ. „დეილი მეილ“-ს სწერენ ჰაკოდატედან: „იაპონელები ბეჯითად ემზადებიან საომრად და ყველაფრის თადარიგს იჭერენ. იაპონიის ჯარები სულ ნავთ-სადგურებს ახლო დგანან. რამწამს ომს გამოაცხადებენ, გემებში ჩასხდებიან და ვლადივოსტოკისკენ გაემართებიან სალაშქროდაო. იაპონიის დასავლეთის პირას წყალ ქვეშ ყველგან ნაღმებს აწყობენ“.

ინგლისურ გაზ. „დეილი პოსტ“-ს სწერენ ვეი-ჰაი-ვეიდან: იაპონიის ჯარი გემებიდან გადმოვიდა და პიენ-ან-დონის პროვინციაში დაბინავდაო.

იაპონიის გამოჩენილი ხალხი და პრესსა დღესაც ომის გუნებაზე არიან და მედგრად სთხოვენ თავიანთ მთავრობას: თუ რუსეთი კორეიაზე ხელს არ აიღებს და მანჯურიიდან, პირობისამებრ, ჯარს არ გაიყვანს, უსათუოდ ომი გამოუცხადეთო. ნურაფრისა ნუ გეშინიანთ,—გამარჯვება ჩვენ დაგვრჩებაო.

„დეილი მეილ“-ს სწერენ კობედან: „აქ 1 ოქტომბერს ძველმა გამოცდილმა სახელმწიფო კაცებმა თათბირი მოახდინეს. კრებას იაპონიის ჯარის მთავარ-შტაბის უფროსი კოდამაც დაესწრო. კრებამ ერთხმად დაადგინა, იაპონია არაფრის გულისათვის არ მისცემს ნებას რუსეთს, რომ კორეიაში გინდ ერთი ფეხის დადგმა ადგილი დაიჭიროსო.

ამავ გაზეთს სწერენ კობედან: რუსეთმა წინადადება მისცა იაპონიას: კორეიაზე ხელს ავიღებ, მხოლოდ იმ პირობით, რომ მანჯურიიდან კი ჯარს აღარ გავიყვანო. იაპონია არ დასთანხმდა ამ წინადადებას.

იაპონიის პრესსა დღესაც ბეჯითად ურჩევს მთავრობას, რუსეთს ნურაფერში შეუშინდები, მანჯურიიდან ჯარი გააყვანინე და კორეიაზედაც ხელი აალებინე, რადგან ეს ქვეყნები ჩვენის ხალხისათვისაა საჭიროო. ზომიერი გაზ. „ასახი-შიმბუნ“-ი სწერს ამის თაობაზე:

„მას აქეთ, რაც პორტ-არტური დაიჭირა, რუსეთი სულ იმის ცდაშია, რომ მანჯურიაში ვაჭრობა და ყოველი საქმე მარტოკამ ჩაიგდოს ხელში. სახელმწიფოებმა თავის დროზე ყურადღება არ მიაქციეს ამ საქმეს და ეხლა მანჯურიის საქმე ჩვენმა ხალხმა უნდა გადასწყვიტოს. ჩვენი ხალხი იმაზე უფრო ჰღელავს, რომ რუსეთი თავის პირობას აღარ ასრულებს და მანჯურიიდან ჯარი არ გაჰყავს. ეხლა ჩვენმა მთავრობამ ძალა უნდა დაატანოს რუსეთს, რომ მანჯურიის ნავთსადგურები გახსნას და მანჯურიაში ყველა სახელმწიფოს ვაჭრობის ნება მისცეს.

რუსეთს დიდი იმედი ჰქონდა მანჯურიისა, მაგრამ ეს იმედი მთლად გაუცრუვდა. ეგონათ, იქ ვაჭრობასა და მრეწველობას გააჩაღებდნენ და დიდ ხეირს შეიძენდნენ, მაგრამ მანჯურიამ დღემდე ზარალის მეტი არა მოუტანა-რა რუსეთს. ამას წინად ფინანსთა მინისტრი ვიტტე განგებ გამოჰგზავნეს ციმბირისა და მანჯურიის ეკონომიურ გარემოების შესასწავლად. ვიტტე ჩამოვიდა, ყველაფერი თავის თვალით ჰნახა და სახტად დარჩა თურმე. რუსეთი დღემდე დიდ ფულს ჰხარჯავს: დალნისა და პორტ-არტურს ამაგრებს და რკინის გზები გაჰყავს, მაგრამ სარგებლობას კი ვერასა ჰხედავს. ჩვენ-კი კარგად ვვაჭრობთ მანჯურიაში და დიდ ფულსაც ვიგებთ იქა. ვაჭრობისათვის ყველაზე მეტი მნიშვნელობა ნიუ-ჩუანის ნავთ-სადგურსა აქვს; ჩვენი საქონელი უმთავრესად ამ ნავთ-სადგურში შედის. ამიტომ ჩვენმა მთავრობამ დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ნიუ-ჩუანს, იქ ბანკები დააარსოს და ამ ნავთსადგურსა და იაპონიას შუა გემების წესიერი მიმოსვლა დააწესოს. კორეიასთან ხომ მეტად დიდი ვაჭრობა გვაქვს; უკანასკნელ წელს 1,100,000 იენის ვაჭრობა გვქონია, ორიოდე წლის შემდეგ-კი, როდესაც კორეიაში რკინის გზებს გაიყვანენ, ეს ვაჭრობა უფრო გაძლიერდება. ამას გარდა, მანჯურია ჩვენ ხალხს დასასახლებლად სჭირია.

ეხლა ჩვენ 400 ათასი ჯარის-კაცი გვყავს, ფლოტიც მეტად კარგი გავიჩინეთ; ეს საქმე ისე მოვაწყეთ, რომ ჩვენ ფინანსებს არაფერი ზარალი არ მიეცა. საინტერესოა, როგორ მოიქცევა ჩვენი მთავრობა და რას ითავებს, რომ კორეიასა და ჩინეთში ჩვენს ვაჭრობას ბაზარი დაუმკვიდროს? რუსეთის მთავრობა კი დღესაც არა ჰფიქრობს მანჯურიიდან ჯარის გაყვანას“...

✦ ინგლისი და ამერიკაც გემებს ჰგზავნიან შორეულ აღმოსავლეთში. ინგლისის მთავრობამ ჩინეთის ზღვაში მყოფ თავისს ესკადრას კიდევ ერთი ჯავშნიანი გემი და ერთი კრეისერი მიუმატა. ჯავშნიანი გემი ხმელთა შუაზღვიდან წავა, კრეისერი კიდევ—პორტსმუტიდან. ამ ესკადრის უფროსად მთავრობამ საუკეთესო ვიცე-ადმირალი ჯერალდ ნოელი დანიშნა. ნოელის დანიშვნას დიდი ყურადღება მიაქციეს გაზეთებმა. შორეულ-აღმოსავლეთში რომ ომის შიში არ იყოს, ნოელს არ დაჰნიშნავდნენ იქაურ ესკადრის უფროსადაო.

ბელგიურ გაზ. „ინდეპანდან ბელჟ“-ს სწერენ ვაშინგტონიდან: „ამერიკის ესკადრის უფროსს ადმირალ ევანსს ბრძანება მოუვიდა, 30 სექტემბერს იაპონიაში წაიყვანე ესკადრაო. ევანსის ესკადრას კიდევ 10 ჯავშნიანი გემი უნდა მიემატოს“.

ახალი ამბავი

—

✦ **ტფილისის ქალაქის მოურავმა წარუდგინა სენატს საჩივარი** სახელოსნო სასწავლებლის გამგე-კომიტეტის გაუქმების გამო. საჩივრის ქაღალდის ბოლოში მოურავი სწერს, რომ არც გუბერნატორი და არც საქალაქო საქმეთა საკრებულო არ ასახელებენ იმ კანონს, რომლის ძალითაც უფლება აქვს გუბერნატორს, უკანონოდ იცნოს მთავრობის მიერ დამტკიცებული წესდება და მოითხოვოს იმისი გაუქმება. 20 წლის განმავლობაში კომიტეტს უმაღლეს მთავრობისაგან მოსდიოდა მოწერილობანი და განკარგულებანი სკოლის შესახებ და უმაღლესი მთავრობა კანონიერად სცნობდა კომიტეტის არსებობას. თუ გუბერნატორი უკანონოდ სცნობდა კომიტეტის არსებობას, შუამდგომლობამ უნდა აღძრა უმაღლეს მთავრობის წინაშეო. დასასრულ, მოურავი სთხოვს სენატს, გააუქმოს ქალაქის საქმეთა საკრებულოს ამ საქმის შესახებ დადგენილება.

✦ **ტფილისს ჩამოვა** გზათა სამინისტროს სამოსწავლო განყოფილების მმართველი ე. ს. ვოლკოვი. ვოლკოვი, სხვათა შორის, განიხილავს ტფილისის რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებლის დირექტორის მოხსენებას მომავალ სამოსწავლო წლიდან პარალელურ განყოფილებათა გახსნის შესახებ.

✦ 12 ოქტომბრისთვის დანიშნულია ტფილისის **წყალთა მეორე ოლქის მემამულეთა** კრება საბჭოს წევრებისა, მერაბისა და სხვა თანამდებობის კაცთა ამოსარჩევად. ამავე სხდომაზე საზოგადოებამ უნდა განიხილოს წარსულ წლის ანგარიში. კრება მოხდება სამეურნეო საზოგადოების სადგომში, საღამოს 8 საათზე.

✦ სატყეო დეპარტამენტს განუზრახავს **უკედ მოაწყოს ამიერ-კავკასიაში სახაზინო ტყეების** მოვლის საქმე. ამ აზრით ჰფიქრობენ სპეციალისტთა სამის დასის გამოგზავნას.

✦ ტფილისის **დოლის გამმართველმა საზოგადოებამ** შუამდგომლობა აღძრა კავკასიის უმაღლეს მთავრობის წინაშე იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიის საერობო თანხიდან საზოგადოებას სუბსიდია მიეცეს პრიზების დასანიშნავად.

◆ ტფილისის სასანიტარო-სამკურნალო საბჭოს მოხსენება **მშობიარეთათვის თავ-შესაფრის** დაარსების შესახებ ქალაქის გამგეობამ გადასცა განსახილველად იმ კომისიას, რომელსაც დავალებული აქვს ქალაქის მცხოვრებლების ჯანმრთელობისათვის ზრუნვა. კომისიის სხდომებს ხმოსან-ექიმებიც დაესწრებიან.

◆ აქამდე გამორკვეული არ არის, **ნავთლუხი და ნავთის ჭალა** წყალთა მეორე ოლქის საზღვრებში შედის თუ არა. ამის გამო საზოგადო კრებების დროს არც იწვევენ ხოლმე ამ კუთხის მემამულეებს. რადგან შესაძლებელია ოლქის კრების დადგენილებანი ამ მიზეზისა გამო არც-კი დაამტკიცონ, წყალთა მეორე ოლქის საბჭომ სთხოვა წყალთა ინსპექციას, განუმარტოს აღნიშნული ადგილები შედიან თუ არა მეორე ოლქის საზღვრებში.

როგორც თათრული გაზეთი „შიარკი რუს“-ი გადმოგვცემს, სამ მაჰმადიან ქალს, რომელთაც წელს გაუთავებიათ ტფილისის დედათა გიმნაზია, განუზრახავთ **ქალების სასწავლებლის დაარსება მაჰმადიანთათვის.**

◆ მთავარ-მართებლის საბჭოს წევრი **ნ. ა. სულთან-კრიმ გირეი**, რომელიც ზაქათალის ოლქში იყო, უკვე დაბრუნდა ტფილისს.

◆ როგორც „კავკაზ“-ს დეპეშით ატყობინებენ, **კავკასიის მუზეუმისა და ტფილისის საჯარო წიგნთ-საცავის დირექტორად** დაინიშნა როტმისტრი კაზნაკოვი.

◆ როგორც „ნოვ. ობოზრ.“-ს ატყობინებენ, საერო-განათლების სამინისტროს გადაუწყვეტია **კავკავში დააარსოს საოსტატო სემინარია.**

◆ 8 ოქტომბერს ტფილისის **საბალოსნო სასწავლებელში** დასრულდა მოსწავლეთა მისაღები ეგზამენები. სკოლაში შესვლის სურვილი განაცხადა 26 კაცმა. სამმა ეგზამენი ვერ დაიჭირა, სამი არ გამოცხადდა, ასე რომ სკოლაში მიიღეს 20 ყმაწვილი.

◆ დღევანდლამდე 10-დე კაცმა ითხოვა ადგილი ტფილისის **საბალოსნო სკოლის გამგისა.**

◆ სათადარიგო ჯარის კაპიტანი თავადი იაშვილი დაინიშნა სენაკის მაზრის მეორე ნაწილის **მომრიგებელ-შუამავლად.**

◆ **ტფილისის მაზრის სამხედრო საკრებულოს მდივნად** დაინიშნა ფოსტა-ტელეგრაფის მოხელე კონსტ. დოდაშვილი.

◆ **სოჩაში სტაროსტად აურჩევიათ** ბ-ნი სავიჩი, ხოლო იმის თანაშემწედ—ბ-ნი ვ. ხოშტარია.

◆ ოთხშაბათს, 8 ოქტომბერს, მოხდა კრება მედვინე-მევენახეობის კომიტეტის მოხსენებათა განმხილველ კომისიისა აგრონომის ვ. ა. სტაროსელსკის თავმჯდომარეობით. კომისიამ რამდენიმე საკითხი განიხილა. შემდეგი სხდომა მოხდება დღეს.

◆ ეხლახან ქალაქის საამშენებლო განყოფილების ხუროთ მოძღვარს მელიქ-ბეგლიაროვს დაუთვალიერებია მეორე ღამის თავშესაფრის სადგომი და აღმოჩენილა, რომ იქ ცხოვრება ძალიან საშიშია. მელიქ-ბეგლიაროვმა სთხოვა ქალაქის გამგეობას, გადასდოს ფული თავშესაფრის შესაკეთებლად.

◆ მე-7 ნაწილის ბოქაულმა სთხოვა ტფილისის ქალაქის გამგეობას გაჰგზავნოს ხუროთ მოძღვარი ყუბინის ქუჩაზე არტემ ვარძიგულოვისა და ბანდარის ქუჩაზე დარჩო შახნაზაროვის შენობათა შესამოწმებლად. ორივე შენობა დაძველებულია.

რუსეთის ქრონიკა

◆ როგორც იუწყებიან, პეტერბურგში, რკინის გზათა მთავარ გამგეობასთან მალე დაარსდება რკინის გზის უფასო კურსები, სადაც მოამზადებენ ორსავე სქესის ახალგაზრდებს რკინის გზებზე სამსახურისათვის. კურსებზე რკინის გზებზე მოსამსახურეებს გარდა კერძო პირებსაც მიიღებენ. ვინც კურსებს დაასრულებს, დაინიშნება რუსეთის რკინის გზებზე შესაფერ სამსახურში. კურსების საქმეს განაგებს რკინის გზის საბჭო უმთავრეს ინსპექტორის გორჩაკოვის თავმჯდომარეობით.

◆ ნოვოროსისკის ნოქართა საზოგადოების გამგეობამ სთხოვა ოდესის ნოქართა საზოგადოების გამგეობას, გამართოს მოლაპარაკება სამხრეთ-რუსეთის ნოქართა საზოგადოებებთან, რომ აღიძრას საერთო შუამდგომლობა ნოქრებისათვის სავაჭრო დაწესებულებებში სამუშაო დღის შემცირების შესახებ.

◆ სასოფლო-სამეურნეო იარაღის სიძვირე ერთი იმ მიზეზთაგანია, რომელიც აფერხებს კულტურულ მეურნეობის განვითარებას. სიძვირე იარაღისა ხელოვნურად გამოწვეულია რკინაზე დადებულ მძიმე ბაჟებით. სამხრეთ-რუსეთის სამთო მრეწველთა კრების კომისიას მიუქცევია ამ გარემოებისთვის ყურადღება და რიაზანის საგუბერნიო საერობო საბჭოში შეუტანია მოხსენება სოფლის მცხოვრებთა შორის რკინეულობის გასავრცელებლად შეღავათის დაწესების თაობაზე. საბჭომ აუცილებელ საჭიროებად იცნო, იშუამდგომლონ, რომ რკინასა და რკინის ნაწარმოებზე არსებული ბაჟები შემცირდეს.

◆ სმოლენსკის საერობო კრებას უარუყვია მოხსენება წვრილ საერობო რაიონების შემოღების თაობაზე და თავის მოქმედებას ასაბუთებს იმით, რომ სოფლელებს არ შეუძლიანთ თვით-მმართველობის მოხმარება და თავად-აზნაურობა კი, რომელსაც შეუძლიან ხელმძღვანელობა, ცოტაა სოფლადაო. დამეთანხმეთ, რომ ბევრ ბიუროკრატ-მოხელესაც-კი შეჰშურდება სმოლენსკის გუბერნიის ერობის ამგვარი არგუმენტები.

◆ პეტერბურგში ამას წინად წიგნების გამყიდველმა ხოლმუშინმა გამოსცა წიგნაკი, რომელშიაც მოთხრობილია, თუ წმ. სერაფიმეს სასწაულმომქმედმა ნაწილებმა როგორ უეცრად მოჰკლა და ერთი საათის შემდეგ გახრწნა კიდევაც გვამი რასკოლნიკის სიტნოვისა, რომელმაც გაჰბედა და შეურაცხჰყო სერაფიმეს წმ. ნაწილები. ეგევე ამბავი მოთავსებული იყო წინად სასულიერო ჟურნალს „პრავოსლავნი პუტევოდიტელ“-ის ოქტომბრის ნომერში. დღეს ეს ამბავი ტყუილი გამოდგა. „ს.-პეტერბ. ვედ.“ რედაქციაში შასკოვს წარუდგენია ნოტარიუსის მოწმობა იმისა, რომ მოსკოვის გუბერნიის, ბოგოროდის მაზრის, იგნატიევის საზოგადოების მცხოვრები გლეხი იაკობ ივანესძე სიტნოვი ცოცხალია. რედაქციაში წარდგენილია აგრეთვე სოფლის საზოგადოების მამასახლისის მოწმობის პირი, რომ 18 ივნისს, 1903 წ. სოფლის ყრილობაზე სიტნოვი არ ყოფილა და არც მომკვდარაო.

◆ 1 ოქტომბრიდან საფრანგეთის საფოსტო ადმინისტრაციამ რუსეთით დაიწყო კორესპონდენციების გზავნა შორეულ აღმოსავლეთში. აქამდე ზღვით ჰგზავნიდა, ეხლა ხმელეთით.

თეატრი

როგორც ვუწყით, თავად-აზნაურთა თეატრში ქართული წარმოდგენა კვირაში ორჯელ იმართება. ეხლა გამგეობას გადაუწყვეტია, ორის ნაცვლად კვირაში სამი წარმოდგენა გამართოს: კვირაობით—იაფფასიანი, ხუთშაბათობით—სააბონიმენტო და ერთიც სამშაბათობით. სამშაბათობით პირველ ხანს ახალი პიესები დაიდგმება, შემდეგ-კი არტისტთა ბენეფისები გაიმართება. პირველად სამშაბათის წარმოდგენა გაიმართება 28 ოქტომბერს. განზრახულია იბსენის პიესა—„ხალხის მტერი“.

—

როგორც გავიგეთ, აელიბრის ახალ თეატრის მოიჯარადრეს ბ-ნ არაქსიანს ნება მიუცია დრამატიულ გამგეობისთვის ადგილების ფასებს დაუკლოს. გამგეობას ისე შეუმცირებია ფასები, რომ სრული შემოსავალი 600 მანეთის ნაცვლად ეხლა 280—300 მანეთი იქნება.

სასამართლო

I

ბანკირის ჯამგაროვის მოკვლა

მოსკოვში, 4 ოქტომბერს, გაირჩა საქმე სომეხ რევოლიუციონერის მათე მინასიანცისა, რომელმაც შარშან, 15 დეკემბერს, მოსკოვში, სომეხთა ეკკლესიის შესავალში მოჰკლა მოსკოვში ცნობილი ბანკირი ისაკ ჯამგაროვი.

გამოძიებამ შემდეგი გამოარკვია: ჯამგაროვი შარშან ზაფხულში თავის სამშობლოში, ქალაქ შუშაში იყო. ერთ ღამეს მას თავს დაესხა რამდენიმე შეიარაღებული ახალგაზრდა სომეხი და 100 ათასი მანეთი მოსთხოვა სომეხთა საიდუმლო კომიტეტის შესაწევად. ჯამგაროვმა გამოუცხადა: შუშაში მაგდენ ფულს ვერ გიშოვით, გამიშვით, პირობას გაძლევთ—ხვალ 4 საათზე დანიშნულ ადგილს 30 ათას მანათს მოვიტან, დანარჩენს-კი მოსკოვში გადავცემ იმას, ვისაც დამისახელებთო. სომეხ ახალგაზრდებმა დაუჯერეს, ხელწერილი ჩამოართვეს და გაანთავისუფლეს. ჯამგაროვმა ყოველივე ეს მეორე დღესვე პოლიციას გამოუცხადა; პოლიციამ დანიშნულ ადგილს შეიპყრო ყოფილი სტუდენტი არსენ ამიროვი და გრ. ვართანიანი, რომელთაც ჯამგაროვისაგან უნდა მიეღოთ დაპირებული. ხელწერილში ჯამგაროვმა აღნიშნა, თუ მოგატყუეთ და გაგეცით, ნება გაქვთ მომკლათო. ახალგაზრდათა შორის ბრალდებული მანასიანციც ყოფილა, და სწორედ ამან იკისრა ჯამგაროვის მოკვლა მოტყუებისა და გაცემისათვის. ამის აღსრულებაში მანასიანცს ეხმარებოდა ვინმე ეხიტიანცი, რომელიც დღემდის ვერ აღმოუჩენიათ. მოსკოვს მანასიანცი ჩავიდა ნოემბერში და სამი კვირის შემდეგ ხანჯლით მოჰკლა ისაკ ჯამგაროვი; დამნაშავე მაშინვე შეიპყრეს.

სასამართლოში მანასიანცმა განაცხადა: ჯამგაროვი მართლა მე მოვკალი; 100 ათასი მანათი შუშაში ვთხოვეთ ოსმალეთიდან გამოქცეულ სომეხთა დასახმარებლად, რადგან ეს ჩვენი მოძმენი მშიერ-ტიტველნი, უსახლ-კაროდ საცოდავ მდგომარეობაში იყვნენ; ამ უბედურთ არავინ ეხმარებოდა და ისე, ღვთის ანაბარა მიტოვებულნი, დახეტიალობდნენ ქალაქსა და სოფლად; ჯამგაროვმა ვითომ შეიბრალა ისინი, დაგვპირდა, მაგრამ მოგვატყუა და ორი ახალგაზრდა პოლიციას ჩაუგდო ხელში. რადგან მანასიანცი გამოტყდა, სასამართლოში გამოძიება აღარ გაუგრძელებიათ და საღამოს ნაფიც მოსამართლეთ შემდეგი დაადგინეს: ბრალდებული დამნაშავეა ჯამგაროვის მოკვლაში და სხვას არავის ბრალი არ ედება, ამასთანავე ღირსია, რომ სასჯელი შეუმსუბუქონ. საოლქო სასამართლომ ბრალდებულს 10 წლის კატორღა მიუსაჯა.

II

მკითხველებს ეხსომებათ, რომ 1901 წელს, 23 სექტემბერს, ვიღაც ბოროტ-განმზრახველთ ღამე გასტეხეს ტფილისის ქალაქის გამგეობის კასაში ფულის ყუთი და წაიღეს ფულად 3273 მან. 1 კაპეიკი, 4 ათას მანეთიანი მოწმობა სახელმწიფო 40/0-იან რენტისა, ერთი ას მანეთიანი მოწმობა იმავე რენტისა და ტფილისის ქალაქის მესამე სესხის ობლიგაციები 592,000 მანეთისა. ამ საქმის გამო გამოძიება დასრულდა და ტფილისის ოლქის სასამართლოს გადაეცა. პასუხის გებაში მიცემულია: საბერძნეთის ქვეშევრდომი ემანუილ ზევგალი, ოზურგეთის მოქალაქე სიმონ ოთხმეზური, მარიუპოლის მოქალაქე ხაიმ ბოიმანბლიტი, ალექსანდროვსკის მოქალაქენი გერცელ ჩერნიკოვი და იოსებ გერმანი, ყირიმის მცხოვრები აბრამ პანდულა, ვერხნე-დნეპროვსკის მოქალაქე მოსე მაკაროვი, ეკატერინოსლავის მოქალაქენი კონსტანტინე და სიმონ პანჩენ-

---

ფელეტონი

პრესსა და ლიტერატურა ინგლისში

V *)

ქუჩის გაზეთები

ეგრედ წოდებულ ქუჩის პრესსის ისტორია არც ისე მოკლეა, როგორც ზოგსა ჰგონია. ეს პრესსა კარგა ხანია გაჩნდა, მაგრამ გავლენა უწინ ისეთი არა ჰქონდა, როგორიც ეხლა აქვს. დიდი ძალა და ღონე ქუჩის პრესსამ მოიპოვა მეოთხმოცდა ათე წლების მეორე ნახევარში. ამ ორის თუ სამის წლის წინად ინგლისის შრომის წარმომადგენლებმა, მუშებმა, მეგობრობისა და სოლიდარობის ნიშნად ხელი გაუწოდეს ფრანგ მუშებს. თავიანთ „მანიფესტ“-ში, აი, რასა სწერდნენ მაშინ ინგლისელი მუშები: „ამ ბოლო დროს დედამიწაზე გაჩნდა საოცარი ვეშაპი. ისეთის ძალისა და ღონის პატრონია ეს ვეშაპი, რომ იმის წინაშე თვით ხალხის მეთაურნიც-კი თრთიან და იხრიან ქედს. ახლად მოვლენილ ვეშაპის გავლენით ხალხნი ეჭვის თვალით უყურებენ და მტრულად ექცევიან ერთმანეთს. ამ ვეშაპს კაპიტალისტები ჰპატრონობენ და სახელად ქუჩის პრესსა ეწოდება“.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ქუჩის პრესსა თანამედროვე ცხოვრებაში დიდად მავნე და არა სასურველი მოვლენაა. იგი სპობს იმ კეთილ და სასარგებლო ნაყოფს, რასაც მეცნიერება, სკოლები და სხვა დაწესებულებანი სთესენ. ქუჩის პრესსა უღვიძებს ბრბოს ველურ ინსტიქტებს: ომისა და სისხლის ღვრის სურვილს, შურისძიებას, სიძულილს. უწინდელი ომები მოისპო, ერთმანეთის ჟლეტას ცოტად თუ ბევრად ბოლო მოეღო. „დღეს აღარც საქმის კაცს და აღარც კლერკს, მღვდელს და ნოქარს აღარ შეუძლიანთ პირდაპირი მონაწილეობა მიიღონ ბრძოლასა და ჟლეტა-ხოცვაში ან შორიდან მაინც უყურონ. მაგრამ ქუჩის პრესსა არ აძინებს ასეთ ადამიანებში დაბუდებულ მხეცსა და მუდამ აწვდის ჟლეტისა და მკვლელობების ამბებს. ამ პრესსის გავლენა იყო, რომ სამხრეთ აფრიკის ომის დროს ყველა ინგლისელს გულითა და სულით უნდოდა ერთი ბური მაინც გაესტუმრა საიქიოს“.

ქუჩის პრესსის დიდ და თვალ საჩინო გაზეთებზე შემდეგ ფელეტონში მოვილაპარაკებთ. ეხლა-კი ამავე ჯურის ყოველ-კვირეულ ჟურნალებს შევეხებით. ასეთია, მაგალითად, ინგლისში დიდად ცნობილი „ტეტ-ბიტს“. ამ ჟურნალს ნახევარი მილიონი მკითხველი ჰყავს. პირველივე გვერდი ჟურნალისა ანეგდოტებით იწყება. თავში განცხადებაა: რედაქცია იწვევს თანამშრომელთ და აუწყებს, რომ ერთ სვეტ ანეგდოტში (ჟურნალი „კვალის“ ფორმატისა იქნება) მომტანს მიეცემა 10 მანეთიო. მახვილ ანეგდოტს იშვიათად შეჰხვდებით. აი, სანიმუშოდ ერთი ანეგდოტი: „ისეთი ცუდი დრო დადგა, რომ ყაირათიანი კაცებიც ულვაშებს იპარსავენ, რათა სიგარის ნამწვავები უფრო ძირამდე მოსწიონ“. მეორე გვერდზედაც ანეგდოტებია და ამას გარდა სამი „წერილი“. ერთში იმაზეა ლაპარაკი, თუ არტისტები ავადმყოფობას როგორ იგონებენ და წარმოდგენების ნაცვლად დოლებს როგორ ესწრებიან; მეორეში ნაამბობია ის, თუ კონდუქტორის ცოლმა ქმრის მიერ მიღებულ ოფიციალურ მოწერილობისაგან როგორ გააკეთა ლამფის შუშაზე ჩამოსაფარებელი ქაღალდი. მესამე წერილის ავტორი უცნაურ შემოწირულებებს იგონებს. ქვევით კიდევ ანექდოტები და წერილებია ასეთის სათაურით: „როგორ შოულობენ ქალები ფულს“, „დანიშნული ერთის დღით“. და სხვა ამგვარ„ წერილებით“ და ანეგდოტებითაა სავსე კიდევ რამდენიმე გვერდი. ბოლოს პრიზები და პრემიებია. მკითხველმა უნდა გამოცანა გამოიცნოს, ან შესაფერი პასუხი შეუთვალოს ამა თუ იმ კითხვაზე და მიიღებს რედაქციისაგან პრემიას. აი, როგორი კითხვებია: „რომელმა ინგლისელმა ეპისკოპოსმა ისახელა თავი კრივით?“ „არის თუ არა ინგლისში ისეთი ეკლესია, რომ სამრეკლო წითლადა და თეთრად ჰქონდეს შეღებილი?“ „არის თუ არა დედამიწაზე ისეთი ენა, რომლითაც დეპეშების გადაცემა არ შეიძლებოდეს?“. მერე რედაქცია აუწყებს მკითხველებს სხვა-და-სხვა „ისტორიულ ამბებს“. აი, რა ჯურისაა ეს ამბები: „სპარსეთის შაჰს სოფის ერთი თვალი შავი ჰქონდა, მეორე ცისფერი“. „ალექსანდრე მაკედონელს კისერზე მეჭეჭი ჰქონდა. თანამედროვენი ამ მეჭეჭს ბედნიერების ნიშნად სთვლიდნენ“. „ინგლისის დედოფალს ანნას ისეთი წითელი სახე ჰქონდა არაყისაგან, რომ ქვეშევრდომნი „Brandy Nan“-ს ეძახდნენ“. დასასრულ კიდევ პრიზები და პრემიები.

როგორცა ჰხედავთ, არავითარ გონების საზრდოს და ცნობებს ეს უცნაური ჟურნალი მკითხველებს არ აწვდის. მთელი მასალა გაზეთისა ანეგდოტებისა და პრემიებისაგან შესდგება. ამ ჟურნალის მკითხველთა უმრავლესობას ბანკებისა და სხვა-და-სხვა კანტორის მოსამსახურენი შეადგენენ. ამათ წინადაც არა ჰქონდათ დრო გონების სავარჯიშოდ და ეხლა ასეთმა გაზეთებმა სრულიად გადააჩვიეს ფიქრსა და გონებით მუშაობას. იმათი გონება ანეგდოტებს-და თუ მისწვდება. ამას გარდა, რადგან რედაქტორი ჰფიქრობს, რომ „დრო ფულიაო“, ყველაფრისთვის, თვით გაზეთის კითხვისთვისაც-კი, პრემიებსა და პრიზებს ჰნიშნავს. ამ გაზეთმა სიცოცხლის დაზღვევაც შემოიღო. წარმოიდგინეთ, რკინის გზაზე უბედურება მოხდა და რამდენიმე კაცი დაიღუპა. ვისაც ჯიბეში „ტეტ-ბეტს“-ის ნომერი აღმოაჩნდება, იმისი ჭირისუფლები მიიღებენ რედაქციისაგან 1000 მანეთს (1897 წლამდე გაზეთს ამ გვარად გაუცია 104,000 მანეთი). მაგრამ უმთავრესი ამ გაზეთში გამოცანებია. გამოცნობისთვის მკითხველს ეძლევა ერთი თუმანი. რედაქცია კარგად იცნობს თავის მკითხველს, ამიტომ თავსატეხ გამოცანებით არ აწუხებს. მკითხველმა, მაგალითად, უნდა აარჩიოს გაზეთიდან სამი ისეთი წინადადება, რომ ერთი გამოვიდეს; ან აიღოს „ტეტ-

---

*) იხ. „ცნ. ფურც.“ № 2275.

კოები, მელიტოპოლის მოქალაქე ანისიმ პერელიგინი, გენიჩესკას მცხოვრები ისიდორე პუზანოვი, პოლტავის მოქალაქენი მოსე და სოფიო ბერესლავსკები და ოზურგეთის მაზრის მცხოვრები, მღვდლის შვილი ნეფიტე ალექსის ძე ხუნდაძე. ზევგალსა და ოთხმეზურს ისა ჰბრალდებათ, რომ ჯერეთ გამოურკვეველ ბოროტ-მომქმედებთან ერთად გასტეხეს გამგეობის კასა და წაიღეს ფული და ობლიგაციები, ხოლო დანარჩენ 12 კაცს ისა, რომ ქურდებს დახმარება გაუწიეს ობლიგაციების გასასაღებლად და ქურდების კვალის დასაფარავად სხვა-დასხვა ღონისძიება იხმარეს. ოლქის სასამართლო ამ საქმეს განიხილავს ნოემბრის ბოლო რიცხვებში. ბრალმდებლის მხრივ გამოწვეულია 50 მოწმე, ხოლო ბრალდებულთა მხრივ 50 კაცზე მეტია.

III

1902 წელს, 19 ოქტომბერს, როგორც მკითხველებს ეხსომებათ, თელავის გზა-ტკეცილზე, უჯარმასა და გომბორს შუა რამდენიმე ბოროტ-განმზრახველი თავს დაეცა ტფილისიდან თელავში მიმავალ ფოსტას. ყაჩაღებმა ესროლეს თოფები და იქვე მოჰკლეს დარაჯი ერმიშევი, ფოსტალიონი მსუბუქად დასჭრეს და შემდეგ წაიღეს 3191 მან. და 37 კაპ. და აგრეთვე რამდენიმე ნივთი. გამომძიებლებმა ამ საქმის გამოძიება უკვე დაამთავრეს და ამ დღეებში განსახილველად წარუდგინეს ტფილისის ოლქის სასამართლოს. პასუხის გებაში მიცემულია სიღნაღის მაზრის მცხოვრები აზნაური მიხეილ იოსების ძე ნაცვლიშვილი, ოზურგეთის მაზრისა ისიდორე ზურაბის ძე მამულაიშვილი, კოწია სიმონის ძე ჭელიძე და მილორდი იგივე შიო ევთიმის ძე ღლონტი.

IV

გუშინ, 9 ოქტომბერს, ტფილისიდან სისხლის სამართლის საქმეების განსახილველად შულავერს გაემგზავრა ტფილისის ოლქის სასამართლოს სესია. სესია შულავერში 18 ოქტომბრამდე დაჰყოფს.

დაბა-სოფლები

ს. ხაშმი (გარეთ-კახეთი). წელს ჩვენში პურის მოსავალი თუმცა ნაკლები იყო, მაგრამ პურის სინაკლულე ღვინის მოსავალმა დაჰფარა. წელს საშუალოზე მეტი ღვინის მოსავალია. გლეხობა ძლიერ გახარებული იყო ვენახის კრეფის დროს, სამაგიეროდ ყურძნის დაწურვის დროს რაღაც დაღონება დაეტყო ყველას. მიზეზი ის იყო, რომ თითქმის ყოველ გლეხს მარანშივე წარსდგომოდნენ მოვალეები და გაფაციცებით ქვევრებს თავიანთ ბეჭედს ასომდნენ.

აქ ერთი სამწუხარო საქმეც მოხდა. ვენახის კრეფის დროს აქაურ გლეხს აბრა შინჯიკაშვილს თავის ერთად-ერთი 4 წლის ქალი ცეცხლის პირას დაუსვამს და თითონ არხეინად ჯალაბობით ვენახის კრეფას შესდგომია. ბავშვს ტანისამოსზედ მოსდებია ცეცხლი და ცოცხალ-მკვდრისათვის-ღა მიუსწრიათ. ბავშვი გარდაცვლილა.

ნ. ბარ—შვილი.

—

ხიზაბავრა (ჯავახეთი). ადგილობრივ ერთ-კლასიანი სკოლის შენობა უკვე დამთავრდა. დამთავრდა ეგრეთვე ქალების ხელ-საქმის სკოლაცა, რომელიც კ. ს. ზუბალაშვილის ხარჯით აშენდა. ამ სკოლის გასაორკლასიანებლად უკვე თხოვნა მისცა ხალხმა ოლქის მზრუნველს. აქ განზრახულ სახალხო სამკითხველოს დაარსების გამო უარი მოვიდა წერა-კითხვის მცოდნე პირთა სიმცირისა გამო (ნაჩვენები ჰქონდათ 150 სული წერა-კითხვის მცოდნე ხიზაბავრიდან). წრეულს პურის მოსავალი ნაკლები იყო აქეთ, ხოლო ქერისას არა უჭირდა-რა. ხორბალი, სიმცირის მიხედვით, მაინც იაფია. კოდი (1 ფუთ. 10 გირ.) 80 კაპ. ფასობს და ქერი 50 კაპ. ყურძნის მოსავალიც ზოგან კარგი იყო, და ზოგან დასეტყვა. წარსულ წლებთან შედარებით კაი ღვთის წყალობა იყო წრეულს, რადგან სრულებით ხელ ცარიელი არ დასტოვა ამისაგან ხალხი. ბალახიც კარგი იყო წრეულს.

მესხი კ. გვარამაძე

—

სოფ. ჭოლევი (ოკრიბა). ჭოლევი მთა-გორიანი ადგილია. მშვენიერი ჰავა და ცივი ანკარა წყაროები ჩინებულ საზაფხულო ადგილად ჰხდის ჭოლევს. სამწუხაროდ, უგზობა გვიჭირვებს საქმეს. გელათის სადგური ჩვენი სოფლიდან ორ ვერსზეა, მაგრამ ამ ორი ვერსის გავლა მთელი ჯოჯოხეთია. ყველა იმას გაიძახის: თხოვნა მივცეთ, ვისაც ჯერ არს, და გზას გაგვიკეთებენო, უკეთ—გაგვაკეთებინებენო.

წრევანდელ მოსავალს აქეთ ყველა იმედით შეჰყურებდა. სიმინდს კაი პირიც უჩანდა, მაგრამ ეხლა, გამუდმებულ წვიმების გამო, ბევრი უტაროოდ დარჩა და ბევრიც ისევ ჭყლინტია. ძველ სიმინდს-კი ჭია გაუჩნდა და პეპლად გამოდის, როგორც სამეგრელოსა და ვაკე იმერეთში დაემართა. ამან კიდევ უფრო დააფიქრიანა და მოადუნა ხალხი. ეს სენი, როგორც ამბობენ, თითქმის მთელს ოკრიბას მოსდებია. ღვინის მოსავალსაც მოელოდნენ წელს აქეთ და ეგონათ, „ასიანებს“ თუ ვერა, „ათიანებს“ მაინც დავავსებთ ღვინითო, მაგრამ აქაც უამინდობამ ძლიერ შეუშალა ხელი და ბევრგან ყურძენი დაუმწიფებელი დარჩა. ხეტყე, რომელიც ამ სოფლის სიმდიდრეს შეადგენდა, საშინელის სისწრაფით ეცლებათ ხელიდან მცხოვრებთ. არა ჰფიქრობენ, რომ გაუფრთხილდნენ და წინ დახედულად ისარგებლონ. აქაურ განთქმულ წაბლარებს ეს ერთი წელიწადია რაღაც სენი გაუჩნდა და ძირ-ფესვიანად ახმობს. ამ ცოტა ხანში რამდენიმე ქცევა წაბლარი უდაბურ ადგილად აქცია. აქაურ მცხოვრებლებს გული უღონდებათ, როდესაც ჰხედავენ ასეთს სურათს. თუ ასე გასტანა, მოსალოდნელია, რომ წაბლი, ეს ფრიად სასარგებლო ხე, სრულიად მოისპოს აქ.

სწავლის სურვილი აქაურებში ღრმადაა გამჯდარი. თუმცა სკოლა არა აქვთ, მაგრამ მაინც სცდილობენ წერა-კითხვის უცოდინარნი არ დარჩნენ: ვისაც ცოტა შეძლება აქვს, შვილებს ქუთაისის სასწავლებელში ჰზრდის, ვისაც არა, ისე შინაურულად სცდილობს მცოდნე მეზობლებთან მაინც ისწავლონ.

X.

—

სოფ. მუხური (სამეგრელო). აქაურებმა რის ვაი-ვაგლახით მოჰკრიბეს 3000 მანეთი და ხობის წყალზე გასდეს ხის ხიდი, მოიწვიეს კიდეც ინჟენერი ქუთაისიდან, რომელმაც ხიდი მოიწონა. მოიჯარადრემ მიიღო პირობისამებრ 3000 მანეთი. მაგრამ ბედმა გვიღალატა და ამ მოკლე ხანში მოსულ წვიმებისაგან ხობის წყალი ადიდდა და ხიდი ერთიანად მოიტაცა. ფული ფულად დაგვეღუპა და მიმოსვლაც მოგვესპო.

პ

—

სოფ. გუბი (ქვემო იმერეთი). „დამწვარზედ მდუღარე დაგვესხაო“, სწორედ ასე დაგვემართა გუბელებს. წელს ძალიან მცირე მოსავალი მოგვივიდა, მაგრამ ამ მცირეს მოვლაც ვერ მოგვიხერხებია. მიზეზი კოკის პირული წვიმებია, რის გამო მოსავალი მინდორში ლპება. ზოგს მოტეხილი სიმინდი და მოჭრილი ჩალაც კი წაართვა გუბის წყალმა. ღვინის მოსავალს წელს არ ემდურიან, მაჭარმა გაახშირა სოფლებში „მრავალ ჟამიერი“ და სხვა სიმღერა-სადღეგრძელოები.

ამას წინად ვწერდი: აქაურ საქალებო სასწავლებელში ჯერ არც სწავლა დაწყებულა და არც მისაღები ეგზამენები დარბაზის უქონლობისა გამო მეთქი. ეხლა სახლი უკვე დაიქირავეს, სტოლ-სკამებიცა და სასწავლო ნივთებიც შეიძინეს და სწავლა გაჩაღებულა. მისაღები ეგზამენებიც დასრულდა და მთხოვნელნი ყველანი მიიღეს.

ლადო გუბელი.

—

სოფ. ლესიჭინე (სამეგრელო). პირველ აგვისტოს შემდეგ წვიმამ ძალიან მოუხშირა. ბევრგან ხშირმა წვიმებმა და დიდმა წყლებმა გზები გააფუჭა. წვიმას მოჰყვა ქარი და ყველაფერი მილეწ-მოლეწა. ვენახები (ადესის) ძალიან გააფუჭა. ვისაც სამოც-ოთხმოცი ფუთი მოსდიოდა, იმას წრეულს ორი-სამი ფუთი მოუვიდა, ისიც დასალევად არ ვარგა. ყურძენი საჭმელადაც არ ვარგა და (ნამეტანმა წვიმებმა დაალპო) ღვინო კარგი საიდან გამოვიდოდა. შინაურ პირუტყვის საკვებიც არ იქნება საკმაო. ძველ სიმინდს ყველგან მატლი გაუჩნდა. ხალხი მაინც მატლიან სიმინდს ხმარობს საჭმელად, რადგან სხვა არა მოეპოვება-რა. ფქვილს რეცხავენ და მერე ღომს აკეთებენ. ერთმანეთს შესჩივიან: რა ვქნათ, რა ცოდვა გაგვედიდა, მატლიანი სიმინდი უეჭველში რამე ჭირს გაგვიჩენსო. ახალ სიმინდსაც წრეულს მატლი უჩნდება. წინა წლებში-კი სიმინდს მატლი მხოლოდ მაისიდან უჩნდებოდა. იწერებოდნენ, გამოსაკვლევად კაცი გაჰგზავნესო, მაგრამ ეხლაც არაფერი ისმის. აგერ მესამე წელიწადია, რაც მატლი უჩნდება სიმინდს. უთუოდ ამ მატლის მიზეზი იქნება, რომ ყველანი დასუსტებულნი ვართ, არც ერთს კაცის ფერი არა გვაქვს, ზოგს კუჭის ტკივილი გვიჩნდება და ზოგს კიდევ რა.

გზები ჩვენში ძალიან გაფუჭებულია. ეტლი და დილიჟანი ძალიანაც რომ გვეჭირდეს, ვერ გაივლის და არც ყოფილა ჯერ ჩვენში. სამ წელიწადზე მეტია, რაც მთავრობამ დაამტკიცა სადილიჟნო გზის გაყვანა ახალ სენაკიდან სოფ. მოიდანახემდის. ეს სოფელი მდებარეობს ახალ სენაკიდან 40 ვერსის მანძილზე. გზა ჩვენ სოფელშიაც გაივლიდა. თუმცა დაამტკიცეს, მაგრამ საქმე კუს ნაბიჯივით მიდის. ამ გზით ოც სოფელზე მეტი სარგებლობს. ოთხმოცი მოსახლე მარტო თავად-აზნაური იქნება. თავად-აზნაურობას ჯერ გზის კეთებაში არაფერი მონაწილეობა არ მიუღია. ამ ჟამად ნახევარი გზა, ე. ი. 20 ვერსამდის, გასწორებულია და მიწა მოყრილი და ნახევარი კი ღვთის ანაბარადაა მიგდებული.

ჩვენში ახლა დაიწყეს სიმინდის ტეხვა თუ კარგი ამინდი არ დადგა, ეს მცირე მოსავალიც გაოხრდება.

სოფლელი

დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

8 ოქტომბერი

კონსტანტინეპოლი. ილდიზ-კიოსკსა და ნაჩევიჩს შუა მოლაპარაკება შეჩერდა.

კალუგა. ყიზდრის საერობო კრებამ დაადგინა, ვიშუამდგომლოთ მთავრობის წინაშე, რომ განსაკუთრებული ფონდი დაარსდესო. ამ ფონდიდან სოფლის საზოგადოებათ $4^0/_0$-იანი სესხი უნდა მიეცეთ სკოლის შენობების ასაგებად.

იურიევი. ერობამ იკისრა სოფლის სასწავლებელთა შენახვა. გადასწყვიტა, დააარსოს ხუთი ახალი სკოლა და შემოიღოს სკოლას გარედ სწავლება.

ორიოლი. კრომის საერობო კრებამ გამოსთქვა სურვილი ცენზის შემცირების შესახებ.

პარიჟი. საფრანგეთისა და ინგლისის შეთანხმება სამედიატორო სასამართლოს შესახებ მხოლოდ პირველი ნაბიჯია. მზადდება კიდევ ოთხი ასეთივე შეთანხმება იტალიასა, ჰოლანდიასა, შვეციასა და ნორვეგიასთან. საფრანგეთ-იტალიის ხელშეკრულობა გამოქვეყნდება ლუბეს რომში მოგზაურობის შემდეგ, დანარჩენ ხელშეკრულობებს ჩქარა მოაწერენ ხელს.

კონსტანტინეპოლი. ტყული გამოდგა ის ცნობა, ვითომ ინგლისის ელჩს პორტასთვის ნოტა ჩაებარებინოს და მოეთხოვოს ბერლინის ხელშეკრულობის დადგენილება მაკედონიის შესახებ შეასრულეთო. ტყუილია აგრეთვე ის ცნობა, ვითომ იტალიის მთავრობაც ინგლისის მოთხოვნილებას მხარს უჭერდესო.—უკვე რამდენიმე დღეა, რაც არც პორტასა და არც საელჩოებს აღარ მიუღიათ ცნობა მეამბოხე რაზმებთან შეტაკების შესახებ.

პეტერბურგი. ხელმწიფე-დედოფალმა მარიამ თეოდორეს ასულმა კეთილ-ინება და ბრძანა, გულწრფელი მადლობა გამოეცხადოს გენერალ ბოგდანოვიჩს თავის გამოცემულ სურათის მირთმევისათვის, რადგან ეს სურათი აგონებს დედოფალს უავგუსტოესის სახლობის მიერ საროვში გატარებულ ბრწყინვალე და დაუვიწყარ დღეებს.

9 ოქტომბერი

სიმფეროპოლი. გუბერნატორის მიერ აღძრულია შუამდგომლობა ბერდიანსკში საკომერციო სასწავლებლის დაარსების შესახებ.

იურიევეცი. კრებამ დააარსა 10 სტიპენდია სახელოსნო სასწავლებლის მოსწავლეთათვის. გადასდო 700 მანეთი ბავშთა ორ თავშესაფარის ასაგებად. გადასწყვიტა შეიმუშაონ მაზრაში ტელეფონის გაყვანის პროექტი.

ეკატერინოსლავი. ერობამ უარ-ჰყო პრინციპი წოდებრივი თანასწორობისა და დაადგინა, ვიშუამდგომლოთ, გაადიდონ გლეხ-ხმოსანთა რიცხვი, მოსპონ არჩევნების შემზღუდველი პირობები და შეამცირონ ცენზი 75 დესიატინამდეო. აგრეთვე დაადგინა კრებამ—მიუმატონ ჯამაგირი ექიმებს ყოველ ხუთ წელიწადში და დააზღვევონ საექიმო ნაწილში მოსამსახურენი.

რომი. დღეს მინისტრების საბჭოში ცანარდელმა განაცხადა, ვსთხოვე მეფეს გამანთავისუფლოს მინისტრ-პრეზიდენტობის თანამდებობიდანო. ცანარდელი აიძულა, ეთხოვა მეფისათვის სამსახურიდან განთავისუფლება, ჯანმრთელობამ. დანარჩენმა მინისტრებმაც ერთხმად გადასწყვიტეს სამსახურიდან გადადგომა.

ჯულფა. დაიწყეს მუშაობა ერევნიდან ჯულფამდის რკინის გზის გასაყვანად.

იაზიკოვო. მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა ნება დართო ი. ნ. იაზიკოვს, დააარსოს სიმბირსკის გუბერნიის და მაზრის სოფელ მიდოვკაში მონტიორთათვის სასოფლო-სამეურნეო კურსები. კურსებმა უნდა მოამზადონ პრაქტიკანტ-

---

ბიტს“-ის სათაურების ასოები და წინადადებები შეადგინოს და სხვა: პასუხი უსათუოდ უნდა გაიგზავნოს „ტეტ-ბიტს“-ის ნომრიდან მოხეულ კუპონზე. ანგარიში აშკარაა: ყველა იყიდის გაზეთს გამოცანებისთვის და გამომცემელსაც ეს უნდა.

რედაქცია პრემიებსაც ჰნიშნავს პატარა ამბებისათვის. ასეთი ამბავი 700 სიტყვაზე მეტს არ უნდა შეიცავდეს. რა თქმა უნდა, მხატვრობასა და ლიტერატურულ ღირსებებს ამ ამბებში ტყუილად დაუწყებთ ძებნას. არც უნდა რედაქციას ასეთი ამბები: ის ურჩევნიან, რომ მეტი მკვლელობა, უცნაურობა ან ქუჩური ოხუნჯობა იყოს. ამ ჟურნალს საკუთარი რომანისტებიც ჰყავს. ბევრმა „რომანისტმა“ ჟურნალის მკითხველთა შორის დიდი სახელი მოიპოვა. ასეთია, სხვათა შორის, გაი ბუზსბი. პირველმა რომანმა, „დოქტორმა ნიკოლამ“, ბუზსბის რამდენსამე თვეში 100,000 მანეთი შესძინა. ჩვენებური მკითხველი ვერც-კი წარმოიდგენს, რა შინაარსისაა ეს რომანი. მოქმედება სწარმოებს ხან ტიბეტსა, ხან გიმალაის მთების მწვერვალოებსა, ხან პოლიუსზე დ ხან კიდევ სად. ასეთ რომანის გავრცელება არ უნდა გაიკვირვოთ, თუ გაიხსენებთ ამ ჟურნალის ზემოდ აღნიშნულ მკითხველებს. რომანში, სხვათა შორის, ერთი კატაც არის გამოყვანილი. როდესაც პირველად გამოვიდა ეს რომანი, ლონდონის ქალების ნახევარმა თავიანთ კატებს ამ კატის სახელი დაარქვეს. პირველ რომანს მალე მეორეც მოჰყვა—„მშვენიერი თეთრი ეშმაკი.“ ეშმაკი და ისიც მშვენიერი და თეთრი! ამ სათაურიდანვე უნდა მიჰხვდეთ, რა ღირსებისა იქმნება რომანი.

„ტეტ-ბიტს“-ის სახელმა ბევრს აუძგერა გული, ბევრმა მოისურვა მიბაძვა და ბედნიერ გამომცემელსავით ფულის მოხვეჭა. ერთ წელიწადს ორას-სამასზე მეტი ყოველ კვირეული ჟურნალი დაარსდა, მაგრამ „ტეტ-ბიტს“-ის მეტოქეობას ვერც ერთმა ვერ გაუძლო და მალე ისევ დაიკეტა. ყველა სცდილობდა, ამ ჟურნალისათვის მიებაძნა. ბოლოს გამოჩნდა ნამდვილი გმირი. ამ გმირმა იმდენი უნარი გამოიჩინა, რომ „ტეტ-ბიტს“-ის გამომცემელ-რედაქტორსაც გადააჭარბა. ალფრედ ხარმსუორტი—აი, სახელი და გვარი ამ გმირისა. უბრალო ვინმე არ გეგონოთ ხარმსუორტი. დღეს იგი 30-ზე მეტის გაზეთისა და ჟურნალის გამომცემელია. ამანვე მოაწყო თავის ხარჯით და გაჰგზავნა ჩრდილოეთ პოლიუსისაკენ ჯაკსონის ექსპედიცია. შემდეგ ფელეტონში ხარმსუორტის გაზეთებზე კიდევ გვექმნება ლაპარაკი, ეხლა-კი იმის მოკლე ბიოგრაფიასა და პირველ გამოცემებს გავაცნობთ მკითხველებს.

ხარმსუორტის მამა და ძმები მდიდარი ბანკირები არიან. ახალგაზრდა ალფრედს იურისტად ამზადებდნენ, მაგრამ ჩვიდმეტის წლისამ სკოლას თავი მიანება და რეპორტერობას მიჰყო ხელი. იღებდა კვირაში 15 მანეთს. მშობლებმა დაჰგმეს ურჩი შვილი და პირი იბრუნეს იმისაგან. სწორედ ამ დროს გაითქვა სახელი ზემოხსენებულმა ჟურნალმა „ტეტ-ბიტს“-მა. როგორც ვთქვით, აუარებელი მიმბაძველი აღმოუჩნდა ბედნიერ გამომცემელს, მაგრამ ფეხი ვერც ერთმა ვერ მოიმაგრა. მაშინ ხარმსუორტმა მოისურვა ბედის გამოცდა. ახალგაზრდა კაცმა რეპორტერობის დროს კარგად გაიცნო „ტეტ-ბიტს“-ისთანა გაზეთების მკითხველი საზოგადოება, ბანკებისა, და კანტორების მოსამსახურენი. იცოდა, რომ ამ ვაჟბატონებს აზრი და იდეია ძალიან ეჯავრებათ. ამიტომ შეადგინა სანიმუშო ნომერი. იგი შეიცავდა პაწაწკინა, სამსტრიქონიან „წერილებს“, ანეგდოტებს და დაუსრულებელ პრიზებს. პრიზს ყველაფერში ჰპირდებოდა მკითხველს: ველოსიპეტიდან თუ გადმოვარდებოდა, სახლს თუ გაუქურდავდა ვინმე და სხვა.

როდესაც ხარმსუორტმა ეს სანიმუშო ნომერი გამომცემელს წარუდგინა, ამ უკანასკნელმა სასაცილოდ აიგდო. მეტი ღონე არ იყო, თვითონ უნდა შესდგომოდა გამოცემას და შეუდგა კიდეც. დღეს ამ კაცს წელიწადში $1^1/_2$ მილიარდი მანეთი მოგება აქვს. როდესაც დედმამამ დაინახა შვილის ასეთი უნარი „ფულის კეთება“-ში, მორჩილად შენდობა მოსთხოვა. ხარმსუორტის ჟურნალს სახელად „ენსვირს“-ი ჰქვიან. თვითეულ ნომრისა მილიონი ცალი საღდება. აი, ორიოდე ნიმუში ამ ჟურნალის „სტატიებისა“: „ამ ჟამად ლონდონში 6000 ვექილზე მეტია“. „ას კოჭლში 85-ს მარცხენა ფეხი აქვს დაშავებული“. „ყველაზე მაღალი აფიცერი ინგლისის ჯარში მეორე ლეიბგვარდიის რაზმის კაპიტანი ოსვალდ ემსია“. „ოსმალეთის სულთანს დღეში შემოსავალი აქვს 30,000 მან., ავსტრიის იმპერატორს—20,000 მან., გერმანიის იმპერატორს—16,000 მან., იტალიის მეფეს—13,000 მან., ინგლისის მეფეს—3,000 მან., საფრანგეთის პრეზიდენტს—10,000 მან.“

მალე ხარმსუორტი სამ ყოველ დღიურ გაზეთის გამოცემასაც შეუდგა. საინტერესოა პირველ გამოცემის ისტორია. 1893 წელს კალრიდტ კენარმა დააარსა ორ კაპეიკიანი საღამოს გაზეთი „ევნინგ ნიუს.“ დამაარსებელს ამ გაზეთის შემწეობით უნდოდა ტორიზმის იდეიები გაევრცელებინა მუშათა, წვრილ მოსამსახურეთა და მედუქნეთა შორის. გამომცემელი ძველის ტიპის ტორი იყო და ეგონა, ჩემს გაზეთს ხელად დაიტაცებენო. მაგრამ კენარს მალე თავისი 200,000 მანეთი გაუსხლტა ხელიდან და 160,000 მანეთიც ვალი დაედო. გამომცემელი მზად იყო, თავიდან მოეშორებინა გაზეთი. ერთის რეპორტერის შუამავლობით ხარმსუორტმა ეს გაზეთი 150,000 მანეთად შეიძინა. ერთის კვირის შემდეგ ველარ იცნობდით, ისე შეუცვალა ფიზიონომია. იდეები სულ ერთიან განდევნა გამოცდილმა ალფრედმა და ყურადღება წვრილ ამბებს მიაქცია, უმთავრესად პოლიციის ამბებს. ამ გაზეთს რეპორტერების ნამდვილი რაზმი ჰყავს. ვერც ერთ პოლიციის საიდუმლო აგენტები ვერ შეედრებიან ამ რეპორტერებს. ინგლისის კანონი სასტიკად სჯის გაზეთს კერძო ცხოვრების გამოქვეყნებისთვის, თუ დანაშაულობა არა მომხდარა-რა. ამიტომ რეპორტერებს დიდი სიფრთხილე და მოხერხება ჰმართებთ. ამბებს გარდა, გაზეთში იბეჭდება სრული ანგარიშები ინგლისურ კრივზე, ეგრედ წოდებულ ბოქსზე.

ი. ძე—ა.

(დასასრული იქნება)

მონტიორები, რომელთაც შეეძლებათ უფრო გავრცელებულ მანქანებისა და იარაღების შეკეთება. ამასთანავე ესენი აჩვენებენ ხალხს, როგორ უნდა ისარგებლონ ამ მანქანებით. სწავლის ვადა ორი წელიწადია.

ჯიბუთი. ხმა დადის, ბელი ნილის ინგლისის საზღვარზე მომხდარ ინციდენტისა გამო, ნეგუს მენელიკმა გასცა ბრძანება ჯარის მობილიზაციის შესახებ.

რომი. იაპონიის მისია უარ-ჰყოფს ხმებს ტურინის აკადემიიდან იაპონელ ოფიცრების გაწვევის შესახებ და აცხადებს, რუსეთისა და იაპონიას შუა არსებული უთანხმოება დიპლომატიურის გზით გადაწყდება.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ჯაბადარი.

გამოსადეგი ცნობანი

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

18 აპრილიდან.

ფრჩხილებს გარედ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს: 1) სწრაფი მატარებელი № 1 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 5 ს. 20 წ. (6 ს. 18 წ.); 3 სამგზავრო № 5 დილის 6 ს. 51 წ. (7 ს. 49 წ.).

ბაქოს: 1) სწრაფი № 20 (მარტო სამშაბათობით პირდაპირ მოსკოვამდე) ნაშუადღევის 3 ს. 26 წ. (4 ს. 24 წ.); 2) საფოსტო № 4 დილის 10 ს. 51 წ. (11 ს. 49 წ.); 3) სამგზავრო № 6 ღამის 10 ს. 34 წ. (11 ს. 32 წ.).

ყარსსა და ერევანს: 1) საფოსტო № 74/75 ღამის 11 ს. 32 წ. (12 ს. 30 წ.); 2 სამგზავრო № 90/91 შუადღის 11 ს. 40 წ. (12 ს. 38 წ.).

ბორჯომს: 1) სამგზავრო № 7/8 ნაშუადღევის 2 ს. (2 ს. 58 წ.); 2 სამგზავრო № 9/10 დილის 5 ს. 23 წ. (6 ს. 21 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის;

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) სწრაფი № 2 ღამის 10 ს. 24 წ. (11 ს. 22 წ.); 2) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 23 წ. (10 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო № 6 დილის 9 ს. 39 წ. (10 ს. 37 წ.).

გ) ბაქოდან გამოდის:

ტფილის-ბათუმისაკენ: 1) სწრაფი № 19 მარტო ტფილისამდე, პარასკევობით, მოსკოვიდან მომავალი) ღამის 3 ს. 42 წ. (4 ს. 40 წ.); 2) საფოსტო № 3 საღამოს 9 ს. 18 წ. (10 ს. 16 3). წ. სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 1 ს. 3 წ. (2 ს 1 წ.).

დ) ქუთაისიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ. 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. (1 ს. 58 წ.; 2) დღის 1 ს. 25 წ. (2 ს. 23 წ.); 3) დღის 3 ს. 50 წ.) (4 ს. 48 წ.).

შორაპნისაკენ: დღის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.).

განცხადებანი

ქუთაისში

სამ. ბ. თოფურიას

სამკურნალო,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ.** სამკურნალოში 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.

LA SURPRISE
(საჩუქარი)
რეინის ოქრო
№ 4711
ახლანდელი მოდის
დუხები
შეუდარებელის, მშვენიერის
და **მაგარის სუნნელებისა**
ფერდ. მიულგენსისა
კელნი რეინზე
ისყიდება ყველა კარგ მაღაზიაში.
(ნ. 9—1)

განცხადება

ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1903 წლის 15 ოქტომბრიდან სახალხო მატარებლების მიმოსვლის რიგი და დრო ამნაირად შეიცვლება.

მატარებლების მოსვლისა და წასვლის საათები აღნიშნულია **პეტერბურგის** დროთი, რომელიც **ტფილისის** დროზე 58 წუთით უკან არის.

ბაქოდან ბათუმამდე.

სადგურები.	მსწრაფლი კავკასიის-მოსკ.-ტფილ. № 19.		საფოსტო № 3		სახალხო № 5		საქ.-სახალ. № 17	
	მოსვლა	წასვლა	მოსვლა	წასვლა	მოსვლა	წასვლა	მოსვლა	წასვლა
ბაქო	ღამის	3.50	ღამის	10.30	დილის	12.50	ღამის	3.10
ბალაჯარი	6.13	6.14	10.58	11.13	1.17	1.37	3.37	4.70
ჰაჯი-ქაბული	8.40	8.48	2.13	2.30	4.29	4.49	7 12	7.37
ქიურდამირი	10.14	10.19	4.19	4.29	6 35	6.47	9.41	9.58
ევლახი	12.12	12 22	7.04	7.20	9.31	9.46	1.06	1.31
განჯა	2.07	2.15	9.33	9.50	11.58	12 08	3 46	4.22
აქსტაფა	5.32	5.40	12.55	1.18	3.03	3.13	1.38	8.03
ტფილისი	7.01	საღამო	4.40	5 50	6.15	7.10	11.24	ღამის
გორი			7.56	8.04	9.36	9.44		
მიხაილოვო			9.19	9.39	10.57	11.17		
შორაპანი			12 14	12.22	1.49	1.54		
რიონი			1.37	1.53	3.04	3.14		
სამტრედია			2.40	2.55	4.01	4.21		
ბათუმი			6.11	დილის	7.25	საღამ.		

ბათუმიდან ბაქომდე.

სადგურები.	მსწრაფლი კავკ.-მოსკ.-ტფილ. № 20.		საფოსტო № 4		სახალხო № 6		საქ.-სახალ. № 18	
	მოსვლა	წასვლა	მოსვლა	წასვლა	მოსვლა	წასვლა	მოსვლა	წასვლა
ბათუმი			საღ.	11.10	დილ.	8 34		
სამტრედია			2.29	2.44	11.41	12.01		
რიონი			3 35	3.47	12.52	1.02		
შორაპანი			4.53	4.59	2.11	2.18		
მიხაილოვო			7.44	7.59	5.12	5.27		
გორი			9.04	9.12	6.32	6.42		
ტფილისი	დღის	4.30	11.25	12.10	9.00	9.30	დილ.	6.36
აქსტაფა	6.46	6.54	3.00	3.20	12.16	12.25	9.30	9 50
განჯა	9.13	9 21	6.26	6.43	3.36	3 52	1.00	1.29
ევლახი	10 41	10.51	8.37	8.52	5.40	5.50	3.32	3.48
ქიურდამირი	12.45	12.50	11.21	11.33	8.24	8.34	6.25	6.36
ჰაჯი-ქაბული	2.18	2.26	1.16	1.31	10.25	10.45	8.22	8.41
ბალაჯარი	4.53	4.54	5.18	5.47	1.48	2.13	11.50	12.20
ბაქო	5.15	ღამ.	6.10	დილ.	2.35	დღის.	12.42	ღამ.

ტფილისიდან ერევნამდე და ერევნიდან ტფილისამდე.

საფოსტო 74/75		საქ.-სახალ. 90/91		სადგურები.	საფოსტო 76/77		საქ.-სახალ. 92/93	
მოსვლა	წასვლა	მოსვლა	წასვლა		მოსვლა	წასვლა	მოსვლა	წასვლა
საღამ.	10.15	დღის	12.30	ტფილისი	5.55	ღამის	4.00	დღის
3.08	3.18	5.15	5.30	სანაინი	12.55	1.18	11.07	11.30
5 23	5.38	7.32	7.52	კარაკლისი	11.15	11.29	9.20	9.36
8.54	9.14	11.08	11.50	ალექსანდროპოლი	7 56	8.16	5.02	6.02
3.02	დღის	7.26	დილის	ერევანი	დღის	12.52	საღამ	7.34

ალექსანდროპოლიდან ყარსამდე და ყარსიდან ალექსანდროპოლამდე.

საფოსტო 95		საქ.-სახ. 97		სადგურები.	საფოსტო 96		საქ.-სახალ. 94	
მოსვლა	წასვლა	მოსვლა	წასვლა		მოსვლა	წასვლა	მოსვლა	წასვლა
დილის	9.30	საღამ.	11.40	ალექსანდროპოლი	7.40	საღამ.	5 20	ღამის
12.50	დღის	3 10	ღამის	ყარსი	საღ.	4.37	ღამის	2.07

ბორჯომიდან ბაკურიანამდე და ბაკურიანიდან ბორჯომამდე.

სახალხო 93		სახალხო 95		სადგურები.	სახალხო მატარებლები 94		96	
მოსვლა	წასვლა	მოსვლა	წასვლა		მოსვლა	წასვლა	მოსვლა	წასვლა
დილის	6.00	დილის	8.20	ბორჯომი	2.31	დღის	5.58	დღის
9 58	დილის	12.18	დღის	ბაკურიანი	დილის	10.34	დღის	2 00

ტფილისს-მიხაილოვო-ბორჯომი და ბორჯომ-მიხაილოვო-ტფილისი.

90		92		7/8		სადგურები.	სახალხო მატარებელი. 8/7		89		91	
მოსვლა	წასვლა	მოსვლა	წასვლა	მოსვლა	წასვლა		მოსვლა	წასვლა	მოსვლა	წასვლა	მოსვლა	წასვლა
				დღ.	2.00	ტფილისი	6.40	დილ				
				4.24	4 39	გორი	4.20	4.29				
დილ	8.10	საღ	9.50	6.00	6.10	მიხაილოვო	2.30	3 14	5 00	დღ.	11.01	დილ
9.20	დღ	11.00	საღ.	7.20	საღ.	ბორჯომი	ღამ.	1.20	დღ.	3.50	დილ.	9.53

სამტრედიიდან ფოთამდე და ფოთიდან სამტრედიამდე.

სადგურები.	სახალხო მატარებელი 111		115		საქ.-სახ. 113	
	მოსვლა	წასვლა	მოსვლა	წასვლა	მოსვლა	წასვლა
სამტრედია	ღამის	3.10	დღის	4.30	დღის	12.20
ფოთი	5.29	ღამის	6.36	საღამ.	2.24	დღის

ფოთიდან ქუთაისამდე და ქუთაისიდან ფოთამდე.

სადგურები.	სახალხო 112		საქ.-სახ. 114		სახალხო 116		118	
	მოსვლა	წასვლა	მოსვლა	წასვლა	მოსვლა	წასვლა	მოსვლა	წასვლა
ფოთი	დილის	6.00	დილის	9.24	დღის	1.32	საღამ.	11.56
სამტრედია	8.00	8.15	11.30	დილის	3.40	დღის	2.10	ღამ.
რიონი	9.06	9 10						
ქუთაისი	9 30	დილის						

რიონიდან ქუთაისამდე და ქუთაისიდან რიონამდე.

სადგურები.	სახალხო მატარებლები. 12	102	104	106	110
რიონიდან გადის	7 50	2.10	4.45	1.10	7.20
ქუთაისში მიდის	8.10	2.30	5.05	1.30	7.40
	დილის	ღამის	ღამის	დღის	საღამ.

სადგურები.	სახალხო მატარებლები. 11	101	103	107	109
ქუთაისიდან გადის	3.10	1.00	3 00	2.20	6.20
რიონში მიდის	3.30	1.20	3.20	2.40	6.40
	დღის	ღამის	ღამის	დღის	საღამ.

მიხაილოვიდან სურამამდე.

სადგურები.	საქონ.-სახალხო მატარებლები. 79	81	83	85	87
მიხაილოვიდან გადის	2.20	8.10	11.28	6.18	9.50
სურამში მიდის	2.32	8.22	11.40	6.30	10.02
	ღამის	დილის	დილის	საღამ.	საღამ.

სურამიდან მიხაილოვამდე.

სადგურები.	საქონ.-სახალხო მატარებლები. 80	82	84	86	88
სურამიდან გადის	2.48	7 08	10.30	4.48	8.50
მიხაილოვოში მიდის	3.00	7.20	10.42	5.00	9.02
	ღამის	დილის	დილის	დღის	საღამ.

შორაპან-დარკვეთი და დარკვეთ-შორაპანი.

სახალხო მატარებელი. 98		100		სადგურები.	სახალხო მატარებელი 97		99	
მოდის	გადის	მოდის	გადის		მოდის	გადის	მოდის	გადის
დილის	6.00	დღის	5 00	შორაპანი	1 30	დღის	11.55	საღამ.
8.27	8.40	7.25	7.40	ჭიათურა	11.03	11.23	9 28	9.48
9.00	დილის	8.00	საღამ.	დარკვეთი	დილის	10.45	საღამ.	9.10

ბათუმიდან ნატანებამდე და ნატანებიდან ბათუმამდე

სახალხო მატარებელი 14		16		სადგურები.	სახალხო მატარებელი. 13		17	
მოდის	გადის	მოდის	გადის		მოდის	გადის	მოდის	გადის
ღამის	5.54	დღის	2.00	ბათუმი	8.06	დილის	5.36	დღის
6.33	6.35	2 32	2.34	ჩაქვა	7.33	7.34	5.01	5.05
6 52	დილის	2.51	2.55	ქობულეთი	დილის	7.14	4.37	4.42
		3.18	დღის	ნატანები			დღის	4.15

ბათუმიდან შორაპნამდე და შორაპნიდან ბთუმამდე.

სახალხო. 10		სადგურები.	სახალხო. 9	
მოდის	გადის		მოდის	გადის
ღამის	12.07	ბათუმი	11.22	საღამ
3.25	3.39	სამტრედია	7.54	8.09
4.30	4.40	რიონი	7.00	7.07
5.48	ღამის	შორაპანი	დღის	5.50

რიონიდან ტყიბულამდე და ტყიბულიდან რიონამდე.

საქ.-სახალხ. 108		სადგურები.	საქ.-სახალხ. 105	
მოდის	გადის		მოდის	გადის
დღის	3 40	რიონი	12.40	დღის
4.00	5.30	ქუთაისი	10.00	12.20
8 55	საღამ.	ტყიბული	დილის	6 36

ბაქოდან ბალაჯარამდე და ბალაჯარიდან ბაქომდე მატარებლები კავკავის რკ. გზისა.

კავკავ-მოსკ.-ტფილისისა. № 19 bis		საფოსტო № 3 bis		სახალხო № 5 dis		მატარ. № 9 bis		საქ.-სახალ. № 11 bis		სადგურები.	მსწრაფლი კავკ.-ტფილ.-მოსკ. № 20 bis		საფოსტო № 4 bis		სახალხო № 6 bis		მატარ. № 10 bis		საქ. სახალ. № 12 bis	
მოდის	გადის	მოდის	გადის	მოდის	გადის	მოდის	გადის	მოდის	გადის		მოდის	გადის	მოდის	გადის	მოდის	გადის	მოდის	გადის	მოდის	გადის
დილის	6.00	დილის	7.50	საღ.	12.45	დილის	2.20	დღის	3.20	ბაქო	5.08	ღამის	9 20	საღამ.	3.55	ღამის	1.10	დილის	11 40	დილის
6.28	დილის	8.20	დილის	12.12	ღამ.	2.50	დილის	3.55	დილის	ბალაჯარი	ღამის	4.45	საღამ.	8 58	ღამის	3.33	დილის	12.46	დილის	11.10

შენიშვნა. 1) კავკასიის მსწრაფლი მატარებლები №№ 19 და 20 ტფილისსა და მოსკოვს შუა ბაქოში შევლით ივლიან კვირაში ერთხელ: მატარებელი № 19 ტფილისში მოვა პარასკევობით, ხოლო № 20 ტფილისიდან გავა სამშაბათობით და ბაქოში ჩავა ოთხშაბათობით: 2) საქ.-სახალხო მატარებლები №№ 17 და 18 ტფილისსა და ბაქოს შუა მიმოსვლას დაიწყებენ 1904 წლის პირველ იანვრიდან; 3) საქ.-სახალხო მატარებლები №№ 94 და 97 ალექსანდროპოლსა და ყარსს შუა ივლიან მაშინ, როდესაც ამას საჭიროება მოითხოვს; 4) 14 ოქტომბერს საფოსტო მატარებელი 74/75 ყარსის შტოსი ტფილისიდან წავა 11 ს. 30 წუთის ნაცვლად, საღამოს 10 ს. 15 წუთზე (პეტერბ. დრო).

(ნ. 3—1)